ბრძანება:**ბ76. 76252836**
თარიღი:**10/10/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახური-საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების განყოფილების ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის (24/09/2025წ. N:01-762526750) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესში’’ და ცვლილებების გათვალისწინებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.ambrolauri.gov.ge გამოქვეყნება.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით უზრუნველყონ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისთვის გაცნობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი